ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1412834

ნომერი: AR1240126

თარიღი : 25.07.2014

გაცემის თარიღი : 01.08.2014

გაცნობის თარიღი : 05.08.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 46 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი დათიაშვილი პ/ნ 60001043041
- ქუთაისი ს.თოფურიას ქ. N 17

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან მოწოდებული მასალით ვერ ხორციელდება არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში განსახორციელებელი სამუშაოების სრულფასოვანი აღქმა, რის გამოც ვერ ხორციელდება თქვენს მიერ დაგეგმილი სარეკონსტრუქციო სამუშაოების შეფასება, იმისათვის, რომ სამსახურმა ხელახლა იმსჯელოს თქვენს საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : ამ ველში დამატებით აიტვირთოს შედარებით შორი მანძილიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები ( სასურველია მთლიანი შენობის ფიქსაციით, ისე რომ შესაძლებელი იქნას ფასადის უფრო დიდი არეალის აღქმა);

2. წარმოსადგენია განახლებული საპროექტო ფოტომონტაჟი შედარებით შორი მანძილიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათების საფუძველზე დამუშავებული მასალისა და დეტალური ზომების მითითებით;

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.